



რეგისტრაციის N 61/36

## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

## ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ფზ N1

“გ ა მ ტ ა ი ტ ე ბ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„19“ 12 „ 2017 წელი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში 0161/36

თბილისი  
2017

## სარჩევი

|                                                                                                         |           |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
| <b>ტერმინთა განმარტება.....</b>                                                                         | <b>3</b>  |
| <b>ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესახებ .....</b>             | <b>4</b>  |
| <b>1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა .....</b>                                                   | <b>5</b>  |
| 1.1 პირობითი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ .....                             | 5         |
| 1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები .....                                                                | 5         |
| 1.2.1 აქციები და სხვა კაპიტალი .....                                                                    | 5         |
| 1.2.2 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და კრედიტორული დავალიანებები .....                                   | 6         |
| 1.2.3 ძირითადი აქტივები.....                                                                            | 6         |
| <b>2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები .....</b>                                                            | <b>8</b>  |
| 2.1 ბუღალტრული აღრიცხვა .....                                                                           | 8         |
| 2.2 საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფა .....                                                                | 8         |
| 2.3 შრომის ანაზღაურება.....                                                                             | 8         |
| 2.4 შენობის იჯარის ხარჯი .....                                                                          | 9         |
| 2.5 სახელმწიფო შესყიდვები .....                                                                         | 10        |
| 2.5.1. შესყიდვების ბაზრის კვლევის გარეშე განხორციელება .....                                            | 10        |
| 2.5.2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორად განსაზღვრა .....                                       | 10        |
| 2.5.3. კონკურენციის შეზღუდვა .....                                                                      | 10        |
| <b>3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით .....</b> | <b>11</b> |
| <b>4. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით .....</b>  | <b>12</b> |
| ფორმა N1 ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი).....                                      | 14        |
| ფორმა N2 ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება.....                                                   | 16        |
| ფორმა N3 ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება .....                                           | 17        |
| ფორმა N4 კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება .....                                                | 18        |
| ფორმა N5 ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება.....                                     | 19        |

## ტერმინთა განმარტება

**სამინისტრო** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

**სამინისტროს აპარატი** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატი;

**ქონების ეროვნული სააგენტო** - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;

**მეტროლოგიის სააგენტო** - სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო;

**საზღვაო აკადემია** - სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;

**ტურიზმის ადმინისტრაცია** - სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;

**აკრედიტაციის ცენტრი** - სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი;

**აღრიცხვის ინსტრუქცია** - საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

## ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავარი ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

სამინისტროს 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმა (ათას ლარებში)

| დასახელება                  | სულ     | საბიუჯეტო სახსრები | კრედიტი |
|-----------------------------|---------|--------------------|---------|
| სამინისტრო                  | 140,831 | 140,431            | 400     |
| მომუშავეთა რიცხოვნობა       | 804     | 804                | -       |
| ხარჯები                     | 104,495 | 104,095            | 400     |
| შრომის ანაზღაურება          | 13,582  | 13,582             | -       |
| ფინანსური აქტივების ზრდა    | 32,381  | 32,381             | -       |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,954   | 3,954              | -       |
| ვალდებულებების კლება        | 0.9     | 0.9                | -       |

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება<sup>1</sup> გადანაწილებულია შემდეგნაირად (ათას ლარებში):

| საბალანსო ერთეულის დასახელება                                   | 142,087 | 100%  |
|-----------------------------------------------------------------|---------|-------|
| სამინისტროს აპარატი                                             | 18,466  | 13.0% |
| სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო                       | 41,764  | 29.4% |
| სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო                          | 41,106  | 28.9% |
| სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია                | 27,973  | 19.7% |
| სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო         | 8,509   | 6.0%  |
| სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო             | 1,242   | 0.9%  |
| სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო           | 1,175   | 0.8%  |
| ა(ა)იპ ოუფენ ნეტი                                               | 1,187   | 0.8%  |
| სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია                        | 425     | 0.3%  |
| სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი | 149     | 0.1%  |
| ა(ა)იპ ინვესტორთა საბჭოს სამდივნო                               | 91      | 0.1%  |
| სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო                             | -       | -     |
| სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო                               | -       | -     |
| სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო                               | -       | -     |
| სსიპ სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური                         | -       | -     |

1 ფინანსური ანგარიშგების "ფორმა N2-ის" მიხედვით, გარდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა, შემოსავლებმა შეადგინა 37.1 მილიონი ლარი

## 1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

### საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელობას

#### 1.1 პირობითი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს<sup>2</sup> მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების აზრად აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

#### 1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები

##### 1.2.1 აქციები და სხვა კაპიტალი

ქონების ეროვნული სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 232,410,666 ლარის აქციები და სხვა კაპიტალი. აღნიშნული მუხლი მოიცავს ქონების ეროვნული სააგენტოს მართვის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების კაპიტალში სააგენტოს მიერ განხორციელებულ შენატანებს.

2016 წლის განმავლობაში, ქონების ეროვნულ სააგენტოს, მისი მართვის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების კაპიტალში, ფულადი და ქონებრივი სახით სულ განხორციელებული აქვს 228,785,439 ლარის შენატანი. აქედან 196,801,748 ლარის ღირებულების ქონება, რომელიც შეტანილ იქნა საწარმოთა კაპიტალის გასაზრდელად, სააგენტოს ბალანსზე არ იყო აღრიცხული როგორც არაფინანსური აქტივი, შესაბამისად მისი კაპიტალში შეტანის შემდეგ არ მოხდა გრძელვადიან ფინანსურ აქტივებად (აქციები და სხვა კაპიტალი) ასახვა.

შედეგად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების ნაშთი 196,801,748 ლარით არის შემცირებული.

<sup>2</sup> საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება.

დანართები 1-დან 12-ის ჩათვლით (იხ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე [www.sao.ge](http://www.sao.ge)).

2016 წელს ქონების ეროვნულ სააგენტოს საწარმოთა კაპიტალიდან ამოღებული აქვს 1,554,233 ლარის ოდენობის ქონება. აღნიშნული ოპერაციები სააგენტოს ბუღალტრულ ჩანაწერებში და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის.

გარდა ამისა, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ სრული ინფორმაცია ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლამდე საწარმოთა კაპიტალში განხორციელებული შენატანებისა და კაპიტალიდან ამოღებული ქონების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში 232,410,666 ლარის ღირებულების გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების ნაშთის სისრულეზე.

### 1.2.2 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და კრედიტორული დავალიანებები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება 9,500,061 ლარის სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და 2,971,426 ლარის სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები. ამათგან 4,649,130 ლარის მოთხოვნებისა და 997,501 ლარის ვალდებულებების მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია სამინისტროში არ იძებნება. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში 4,649,130 ლარის სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების და 997,501 ლარის სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების არსებობაზე.

საზღვაო აკადემიას არ აქვს განხორციელებული დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე არსებული უარყოფითი ნაშთების რეკლასიფიკაცია. აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად<sup>3</sup>, დაუშვებელია აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა. აქედან გამომდინარე, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ნაშთი 237,141 ლარით და სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების ნაშთი 382,013 ლარით არის შემცირებული.

### 1.2.3 ძირითადი აქტივები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების ნაშთი ჯამურად 514,208 ლარით არასწორად არის წარმოდგენილი შემდეგ გარემოებათა გამო:

- სამინისტროს აპარატის ბალანსზე ირიცხება 2,063,764 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივები, საიდანაც 32,481 ლარის აქტივები (ლიცენზიები, კომპიუტერული პროგრამები და სხვა) მოძველებულია და აღარ გამოიყენება. ასევე, სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ ბალანსზე ირიცხება 6,852 ლარის ღირებულების ვიდეორგოლები, რომლებიც აღარ გამოიყენება. აღნიშნული აქტივები აღრიცხვის ინსტრუქციის<sup>4</sup> მიხედვით არ აკმაყოფილებენ ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ძირითადი აქტივების ნაშთი გაზრდილია 39,333 ლარით.
- მეტროლოგიის სააგენტოში 2013 წელს ლიფტის შესყიდვისა და დამონტაჟების ხარჯები (57,947 ლარი) დაემატა არასაცხოვრებელი შენობების ღირებულებას. გამომდინარე იქიდან, რომ არასაცხოვრებელი შენობებისა და ლიფტის მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ლიფტის ცვეთის გაანგარიშება უნდა მომხდარიყო განსხვავებული ნორმის გათვალისწინებით<sup>5</sup>. შედეგად, 2016

3 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

4 3-ე მუხლის 1-ლი პუნქტის გ. ქვეპუნქტი

5 ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №439 "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ" მე-7 მუხლი

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ძირითადი აქტივების ნაშთი გაზრდილია 20,861 ლარით.

- საზღვაო აკადემია ცვეთის გაანგარიშების ბაზად აქტივების ისტორიული ღირებულების<sup>6</sup> ნაცვლად იყენებს საბალანსო ღირებულებას. შედეგად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლი შემცირებულია 99,458 ლარით და ფორმა N1-ში ძირითადი აქტივების ნაშთი გაზრდილია 354,556 ლარით.

ტურიზმის ადმინისტრაციის ბალანსზე ირიცხება ქ.თბილისში, მტკვრის ქ. N3-ში არსებულ შენობაში მდებარე 147,37 მ<sup>2</sup> ფართი, რომელიც არ არის შეფასებული და აღრიცხულია მხოლოდ მასზე გაწეული კაპიტალიზებადი დანახარჯების ღირებულებით (4,901 ლარი). აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად<sup>7</sup>, შენობის მიღებისას უნდა მომხდარიყო მისი ფულადი ღირებულებით ასახვა. შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ძირითადი აქტივების ნაშთი შემცირებული სახით არის წარმოდგენილი.

მეტროლოგიის სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 4,158,115 ლარის მანქანა-დანადგარები და ინვენტარი. 2010-2014 წლებში არ ხდებოდა სააგენტოს მიერ შემენილი აქტივების სრულად და ზუსტი თანხებით ასახვა. 2013-2014 წლებში აღნიშნულ აქტივებზე არ დარიცხულა ცვეთა. 2016 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის აქტებით შეუძლებელია ბუღალტრულ ჩანაწერებთან შედარების უწყისების წარმოება, რაც განპირობებულია იმით, რომ ინვენტარიზაციის აქტებში მითითებული აქტივების დასახელება არ შეესაბამება ბუღალტრულ რეესტრებში მითითებულს. ასევე ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული გარკვეული აქტივების ნაშთი არ არის გაშიფრული, ხოლო ინვენტარიზაციის შედეგად ზედმეტობა ან დანაკლისი არ გამოვლენილა. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში 283,300 ლარის ძირითადი აქტივების სისრულესა და სიზუსტეზე.

სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ზოგიერთ უწყებაში სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში“, სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში“ და საზღვაო აკადემიაში 2016 წელს არ ჩატარებულა ძირითადი აქტივების სავალდებულო<sup>8</sup> ინვენტარიზაცია. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში 15,392,747 ლარის ძირითადი აქტივების სისრულეზე.

*აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ვართ სამინისტროსაგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ს მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.*

6 ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №439 "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ" მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი

7 მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი

8 ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის ბრძანება N605 „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი.

## 2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

### 2.1 ბუღალტრული აღრიცხვა

სამინისტროს აპარატში, ქონების ეროვნულ სააგენტოში, სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში“, სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა“ და აკრედიტაციის ცენტრში არ გამოიყენება სპეციალიზებული საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა. ქონების ეროვნული სააგენტო ბუღალტრული აღრიცხვისთვის არ იყენებს არანაირ ელექტრონულ საშუალებას, ხოლო დანარჩენი ორგანიზაციები აღრიცხვას აწარმოებენ Microsoft Excel-ის გამოყენებით, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების რისკს.

მიღებული განმარტებით, ქონების ეროვნულმა სააგენტომ უკვე შეიძინა ბუღალტრული პროგრამა და მიმდინარეობს დანერგვის პროცესი, სსიპ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში“ უკვე დანერგილია, ხოლო სამინისტროს აპარატი გეგმავს 2017 წლის ბოლომდე შეიძინოს ბუღალტრული პროგრამა, რომლის გამოყენებასაც 2018 წლიდან სრულად შეძლებს.

### 2.2 საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფა

სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისას, სამინისტროს ზოგიერთი პროგრამის ასიგნებები მოთხოვნილი ოდენობით არ დამტკიცდა, თუმცა წლის განმავლობაში, მათ დასაფინანსებლად თანხები გამოყოფილ იქნა ასიგნებათა გადანაწილებიდან და ფონდებიდან, რაც ბიუჯეტის დაგეგმვის ხარვეზებზე მიუთითებს.

| კოდი        | დასახელება                                                       | მოთხოვნილი | დამტკიცებული | გადმოტანილი |
|-------------|------------------------------------------------------------------|------------|--------------|-------------|
| 24 05 02    | შიდა ტურიზმისა და საერთაშორისო ბაზარზე მარკეტინგული ღონისძიებები | 29,903,300 | 20,187,000   | 5,500,000   |
| 24 01 01 05 | დაბა მესტიის მიმართულებით რეგულარული ავიარების სუბსიდირება       | 2,500,000  | -            | 2,645,650   |
| 24 01 02 04 | ა(ა)იპ - ინვესტორთა საბჭოს სამდივნო                              | 97,000     | -            | 94,883      |

### 2.3 შრომის ანაზღაურება

სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებში სახელფასო დანამატები გაიცემოდა სხვადასხვა საფუძველით, თუმცა დანამატის გაცემის შემთხვევაში, ზეგანაკვეთური მუშაობის ან/და განსაკუთრებული სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების შედგენა ორგანიზაციაში არ ხდებოდა.

სამინისტროს სისტემაში თანამშრომლებზე 2016 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით სულ გაწეულია 28,933,136 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის, დანამატი 3,706,618 ლარი, რაც „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული საკასო ხარჯის 13%-ს შეადგენს.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, დანამატის კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის საზღაურს. დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან ბრძანებები ზოგადია და არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

**2016 წლის დანამატები ორგანიზაციების მიხედვით:**

| საბალანსო ერთეულის დასახელება                                 | შრომის ანაზღაურება | დანამატი         | დანამატის წილი |
|---------------------------------------------------------------|--------------------|------------------|----------------|
| სამინისტროს აპარატი                                           | 5,248,248          | 1,031,502        | 20%            |
| სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო                     | 4,948,728          | 478,365          | 10%            |
| სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო                             | 3,411,417          | 295,904          | 9%             |
| სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო                             | 2,544,788          | 665,234          | 26%            |
| სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია                      | 3,381,003          | -                | 0%             |
| სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო                           | 1,840,945          | 338,055          | 18%            |
| სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია              | 1,642,598          | 289,406          | 18%            |
| სსიპ სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური                       | 1,458,258          | 35,929           | 2%             |
| სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო           | 1,091,528          | 330,125          | 30%            |
| სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო         | 930,061            | 38,467           | 4%             |
| სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო                        | 895,505            | 39,400           | 4%             |
| ა(ი)პ ოუფენ ნეტი                                              | 864,031            | -                | 0%             |
| სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო       | 392,897            | 121,550          | 31%            |
| სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი | 283,129            | 42,681           | 15%            |
| <b>სულ</b>                                                    | <b>28,933,136</b>  | <b>3,706,618</b> | <b>13%</b>     |

სამინისტროს აპარატსა და მის დაქვემდებარებულ სსიპ-ებში ფაქტობრივად დასაქმებულ მომუშავეთა რიცხოვნობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება დამტკიცებულ მაჩვენებელს. ვაკანტური სამტატო ერთეულების არსებობის შედეგად გამოთავისუფლებული სახსრები გაიცა პრემიებისა და დანამატების სახით.

**ინფორმაცია ვაკანტური თანამდებობების და ეკონომიის შედეგად გაცემული თანხების შესახებ:**

| დასახელება                                              | დამტკიცებული სამტატო რიცხოვნობა | ფაქტობრივად დასაქმებულთა რიცხოვნობა | ვაკანტური თანამდებობების რიცხოვნობა | გაცემული პრემია/დანამატი |
|---------------------------------------------------------|---------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|--------------------------|
| სამინისტროს აპარატი                                     | 275                             | 190                                 | 85                                  | 1,111,307                |
| სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო               | 221                             | 200                                 | 21                                  | 364,576                  |
| სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო | 30                              | 9                                   | 21                                  | 239,167                  |
| სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია        | 83                              | 67                                  | 16                                  | 348,786                  |
| სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო                  | 35                              | 29                                  | 6                                   | 57,585                   |

**2.4 შენობის იჯარის ხარჯი**

2016 წლის 1 აპრილიდან სამინისტროს აპარატი განთავსებულია ქ. თბილისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე N 10ა-ში მდებარე შენობაში<sup>9</sup>, რომელიც აღებულია იჯარით. ყოველწლიური საიჯარო ქირა შეადგენს 900,000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში. სამინისტროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ხარჯ-ეფექტურობის ანალიზი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა სხვადასხვა ალტერნატივის დანახარჯისა და სარგებლის შედარება.

სამინისტროს მიერ იჯარით აღებული შენობის სამ სართულზე ფუნქციონირებს ქონების ეროვნული სააგენტო, რომლის საიჯარო ქირის და კომუნალური მომსახურების ხარჯების გაწევა მთლიანად სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნებებიდან ხდება.

<sup>9</sup> ს.კ. 01.15.02.010.007

მიღებული განმარტებით, უწყებების გაერთიანების შედეგად გამოთავისუფლდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობები, სადაც 2018 წლის პირველ კვარტალშივე გადავა სამინისტროს აპარატი და ქონების ეროვნული სააგენტო და შესაბამისად აღარ გაგრძელდება საიჯარო ქირის გადახდა.

## 2.5 სახელმწიფო შესყიდვები

### 2.5.1. შესყიდვების ბაზრის კვლევის გარეშე განხორციელება

სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში“ 2016 წელს ავიაბილეთების 99,6% შესყიდულია ერთი კომპანიისგან (შპს „ცენტრალ ტრეველი“), რისთვისაც გადახდილია 403,077 ლარი. სააგენტოში ავიაბილეთების შესასყიდად ბაზრის კვლევა არ წარმოებდა, რაც ზრდის საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკს.

მიღებული განმარტებით, ავიაბილეთების შესასყიდად ბაზრის კვლევა 2016 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ელექტრონული პროგრამების (ვებგვერდების) და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით, რომლის დადოკუმენტირებაც არ მომხდარა. თუმცა, 2017 წლიდან ავიაბილეთების შესყიდვისას ბაზრის კვლევის დადოკუმენტირება უკვე ხორციელდება.

### 2.5.2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორად განსაზღვრა

ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ, ღვინის გზის პროექტის ფარგლებში, ღვინის ტურიზმის ობიექტებისათვის საინფორმაციო მაჩვენებელი საგზაო მანიშნებლების მოსაწყობად საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით, 2016 წლის 21 მარტს გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი<sup>10</sup>, რომლის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 45,000 ლარი. ტენდერში მონაწილე ორი პრეტენდენტიდან უმცირესი ფასის წარმომდგენმა კომპანიამ არ შეასრულა სატენდერო კომისიის მოთხოვნა ინფორმაციის დაზუსტების შესახებ, რის გამოც დისკვალიფიცირდა. დისკვალიფიკაცია მიენიჭა ასევე მეორე პრეტენდენტსაც, რადგან საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნების დაპროექტების სულ მცირე 3 წლიანი გამოცდილების დამადასტურებლად წარმოდგენილი ინფორმაციიდან, სატენდერო კომისიამ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილთან შესაბამისად მიიჩნია მხოლოდ ორი წლის მონაცემები. ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. აღნიშნული მომსახურების შესყიდვის მიზნით 2016 წლის 16 მაისს კვლავ გამოცხადდა ტენდერი<sup>11</sup>, თუმცა უკვე განსხვავებული პირობებით, კერძოდ ამოღებული იქნა 2.5.3 პუნქტით მოთხოვნილი საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნების/მანიშნებლების დაპროექტების სულ მცირე 3 წლიანი გამოცდილება, ხოლო სავარაუდო ღირებულება გაიზარდა 45,000 დან 101,000 ლარამდე იმავე მოცულობის სამუშაოზე. ხელშეკრულება გაფორმდა 80,801 ლარზე უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტთან.

### 2.5.3. კონკურენციის შეზღუდვა

ღვინის გზის პროექტის ფარგლებში საგზაო მანიშნებლების მოსაწყობად ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ 2016 წლის 14 სექტემბერს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი<sup>12</sup> სავარაუდო ღირებულებით 268,000 ლარი. გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 201,997 ლარი.

<sup>10</sup> SPA160009267

<sup>11</sup> SPA160014300

<sup>12</sup> SPA160024984

მიუხედავად იმისა, რომ სატენდერო დოკუმენტაციით საავანსო ანგარიშსწორება განსაზღვრული არ იყო<sup>13</sup>, 2016 წლის 19 დეკემბერს ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილება, რომლითაც ტურიზმის ადმინისტრაციამ აიღო ვალდებულება ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის ავანსად გადარიცხვის შესახებ, რაც განხორციელდა კიდევ. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იქნებოდა საავანსო ანგარიშსწორება, შესაძლებელია ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულიყვნენ სხვა მომწოდებლებიც.

### 3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი - უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყდონ ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებლები არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

13 პუნქტი 2.5.5

#### 4. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე.
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას.
- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის - მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი.
